



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ: ბესიკ ესებუას

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების
სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. აზა სიჭინავა ტელ. 577 300 283
2. ბელა ჯომიდავა ტელ. 598 35 85 49
3. გულადი გორდულაძე ტელ. 599 85 01 69

პეტიცია

პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის სისტემის ამოქმედება

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ითვალისწინებს პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას. ელექტრონული ფორმით პეტიციების წარდგენის წესი კი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად, დადგენილებით უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ. პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი და პროცედურები უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში (პეტიციების ნაწილში), რაც ბუნებრივია საჭიროებს რეგლამენტში ცვლილებების და დამატებების შეტანას.

აღნიშნული სისტემის ამოქმედებისათვის აუცილებელ წინაპირობას ასევე წარმოადგენს ელექტრონული ფორმით პეტიციის წარდგენისათვის შესაბამისი ელექტრონული აპლიკაციის არსებობა, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.




პეტიცია წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისად პეტიცია თან ერთვის მოსამზადებელი ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის რეგლამენტში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის ძირითადი პრინციპები და წინადადებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის საკითხის განხილვის და გადაწყვეტის მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უზრუნველყოთ პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესის და პროცედურების საკრებულოს რეგლამენტში ასახვა და შესაბამისი ელექტრონული აპლიკაციის შექმნის მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელების საკითხების გადაწყვეტა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.
3. მოსამზადებელი ნორმატიული აქტის ძირითადი პრინციპები და წინადადებები

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. აზა სიჭინავა 
2. ბელა ჯომიდავა 
3. გულადი გორდულაძე 

პეტიციის წარდგენის თარიღი: 05 ოქტომბერი 2017 წელი